

სამთო–გეოლოგიური ფაკულტეტის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება

განყოფილების უფროსი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, აქვს კომპიუტერული უნარჩვევების კარგი ცოდნა, შეუძლია ორგანიზება გაუწიოს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სასწავლო მეცადინეობების, ცხრილების შემუშავებას. მონიტორინგი გაუწიოს სასწავლო მეთოდური ლიტერატურის გამოცემის გეგმის შესრულებას. შეუძლია შეადგინოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების გრაფიკი, უზრუნველყოს სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება; ორგანიზება გაუწიოს დეკანატის სპეციალისტთა ჯგუფის საქმიანობას.

უფროსი სპეციალისტი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს, შეუძლია დოკუმენტაციის დროულად და ხარისხიანად შესრულების მონიტორინგი; აქვს vici.gtu.ge; leqtori.gtu.ge და elearning.gtu.ge პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება; შეუძლია სათანადო შინაარსის ბრძანებების გაფორმება, სტატისტიკური მონაცემების შედგენა, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბრძანებების მომზადება; თეორიული კურსის დასრულების შემდეგ ჯგუფების მიხედვით შემაჯამებელი დოკუმენტის შედგენა; საკვალიფიკაციო კომისიის ოქმებისა და სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება; ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი წერილობით შინაარსის დოკუმენტების ხარისხიანად მომზადება, კომპიუტერული უზრუნველყოფა, გადაგზავნა და დაარქივება.

უმცროსი სპეციალისტი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, დეკანატში მუშაობის გამოცდილება და ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს. შეუძლია

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის დიპლომების ასლებისა და დამთავრების შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და არქივში, დიპლომების გაცემის განყოფილებაში, კანცელარიაში წარდგენა. საკვალიფიკაციო ოქმების წარმოება; სტუდენტთა შემადგენლობის შესახებ ყველა შემოსული ბრძანების შეტანა პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაში, სტუდენტთა კონტიგენტის ჟურნალში, სასწავლო პასპორტში, სტუდენტთა მოძრაობის ჟურნალში. შესაბამისი ბრძანების ამონაწერის შეტანა პირად საქმეში. ჯგუფის შეცვლის შემთხვევაში პირადი საქმის გადატანა ბრძანებაში მითითებულ ჯგუფში; სტუდენტთა ატესტატების ჩაბარება არქივში; სტუდენტთა პირადი საქმეებიდან სრული მონაცემების ამოკრეფა და მომზადება ელექტრონულ ბაზაში შესატანად; სტუდენტთა და სამხედროვალდებულ სტუდენტთა შესახებ შესაბამისი ფორმის ცნობის ამობეჭვდა და გადაგზავნა; ელექტრონულ ბაზებში სტუდენტთა მონაცემების შეტანა; დიპლომის; პროფესიული დიპლომის, სერთიფიკაციების დანართებისა და დიპლომის ასლების მომზადება. სტუდენტთა პრაქტიკაზე გაგზავნის, კოლოქვიუმებზე, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვაზე სტუდენტთა დაშვების ბრძანებების მომზადება.

უმცროსი სპეციალისტი (მენეჯერის სამსახური)

მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს, შეუძლია ჩაატაროს შრომის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და შრომითი ბაზრის შესწავლა დამსაქმებლის მოთხოვნილებების გამოვლენის მიზნით, შეუძლია კოორდინაცია გაუწიოს სტუდენტთა ჩართულობას ფაკულტეტზე მიმდინარე საინჟინრო-სამეცნიერო საქმიანობაში, აწარმოოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და განაწილება ფაკულტეტზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

უმცროსი სპეციალისტი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს.

შეუძლია: ფაკულტეტის ხარისხის სამსახურში შემოსული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი სილაბუსების შედგენისა და გადახალისების მუდმივი მონიტორინგი,

მოთხოვნების შესაბამისად ტექნიკური შესრულება. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურიდან მიღებული წერილობითი მოთხოვნებსა ასევე ფაკულტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მხრიდან შემოსულ ზეპირ თუ წერილობით საკითხებზე რეაგირების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ასისტენტობა-დოკუმენტების ელექტრონულ ფორმაში მომზადება. სასწავლო პროცესის (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობები) მონიტორინგის მიზნით კომისიების მიერ ჩატარებულ სამუშაოებში მონაწილეობა_ მომზადებული დასკვნების გაფორმება. შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობაში ჩართვა- ასისტენტობა.

სასწავლო (აკადემიური) დეპარტამენტები

კომპიუტერული სერვისების ადმინისტრატორი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და მაღალ დონეზე ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს კომპიუტერული კლასებისა და სხვა კომპიუტერული ტექნიკის, ქსელების გამართული მუშაობა.

არქივარიუსი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და კარგად ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს. შეუძლია არქივში მიღებული დოკუმენტების შერჩევა, მოწესრიგება, დაკომპლექტება და შენახვა, მათი შემდგომი გამოყენების მიზნით; მიიღოს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფებიდან შემოსულ დოკუმენტაცია და მოახდინოს მათი რეგისტრირება; არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს შესანახი ერთეულების დაშიფრვა, განთავსება საქალაქო დეპოში და აწარმოოს მათი აღრიცხვა; მოახდინოს მუდმივი და დროებითი შენახვის ერთეულების საცნობარო აღწერა. გასანადგურებელი, ჩამოსაწერი და მუდმივი შენახვის დოკუმენტების შესაბამისი აქტების შედგენა; თვალყურს მიადევნოს საარქივო დოკუმენტების მდგომარეობას, არქივის შენობაში ისეთი პირობების შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების შენახვას; აკონტროლოს არქივის შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვის ღონისძიებები; შემოსული მოთხოვნების საფუძველზე უზრუნველყოს საარქივო მასალების და დოკუმენტების ასლების, აგრეთვე არქივში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე საჭირო ცნობების გაცემა

ბიბლიოთეკარი

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება, ფლობს კომპიუტერულ უნარჩვევებს და შეუძლია ბიბლიოთეკის მომხმარებელთა (სასწავლებლის პერსონალი, სტუდენტი) სწრაფი და სრული უზრუნველყოფა მათთვის საჭირო ინფორმაციით, პერიოდული და ელექტრონული გამოცემებით, აგრეთვე სხვა საწავლო მეთოდური მასალებით. საცნობარო – საინფორმაციო აპარატის, კატალოგების, მომხმარებელთა აღრიცხვის, მათი კონსულტირების ორგანიზაცია და მართვა. შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება და ამ დოკუმენტებით მომხმარებელთა მომსახურება. სასწავლებლის სასწავლო – საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო დოკუმენტებით. საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა , დამუშავება. წიგნადი ფონდის პერიოდული შესწავლა, შემოწმება, მეორადი შერჩევის გზით გაწმენდა მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დამუშავება. მომხმარებელთა უზრუნველყოფა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, ასლგადამღები აპარატით და სკანერით.

ლაბორატორიები

ლაბორატორიის ხელმძღვანელი

შახტი–ლაბორატორია

სასწავლო–სამეცნიერო გაერთიანებული ლაბორატორია

სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების სასწავლო საკვლევო ლაბორატორია

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით და მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. რომელსაც შეუძლია სასწავლო ლაბორატორიების გამართულ მუშაობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს:

- ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას სასწავლო პროგრამების მიხედვით;
- ლაბორატორიული დანადგარების გამართულ მუშაობას;
- ლაბორატორიების აღჭურვას სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით;
- სასწავლო-დამხმარე პერსონალის მუშაობის დაგეგმვას;

- სამუშაო ადგილების რაციონალურ დაგეგმვას და აღჭურვას;
- ლაბორატორიული დანადგარების სწორ ექსპლოატაციას, დროულ შეკეთებას და ტექნიკურ მომსახურებას;
- შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- საწარმოო სანიტარული ნორმების დაცვას;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვას;
- ხელსაწყოების მიღების და შენახვის ორგანიზებას;

შახტი-ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოადგილე

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი პროფილით; პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 3 წელი; უნდა შეეძლოს სტუდენტებისა და ვიზიტორებისათვის შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარება, მათი უსაფრთხო ტრანსპორტირების უზრუნველყოფა შახტი-ლაბორატორიაში, სტუდენტებისა და ვიზიტორების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა შახტი-ლაბორატორიის შიგნით. საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ახსნა-განმარტებების გაცემა მანქანა-მექანიზმების და დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ.

მუზეუმის ხელმძღვანელი

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება შესაბამისი პროფილით; უნდა ფლობდეს გეოლოგიის დარგის თეორიულ საფუძვლებს; სასურველია ჰქონდეს საველე გეოლოგიური სამუშაოების გამოცდილება; უნდა ფლობდეს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევებს; უნდა შეეძლოს ინტერნეტით უნარიანად სარგებლობა, ლიტერატურული და საილუსტრაციო მასალების მოძიება და დამუშავება; უნდა იცნობდეს სამუზეუმო დარგში არსებულ ძირითად სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურას და შეეძლოს მისი უნარიანად გამოყენება კონკრეტული სასწავლო თუ სამეცნიერო საკითხების გადაწყვეტისას; უნდა შეეძლოს საველე-გეოლოგიურ პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების თანახელმძღვანელობა და კონსულტაციების გაწევა. მუზეუმში სტუმრების მიღება; მინერალთა კოლექციებისა და სხვა თვალსაჩინოებების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება; მუზეუმის ვიტრინებში გამოფენილი (საკოლექციო) და საცავებში დაცული კოლექციების შევსება-მოწესრიგება, გამორჩეული ნიმუშების ფოტოგრაფირება და ინტერნეტში განთავსება;

ლაბორანტი

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით სრული ან არასრული უმაღლესი განათლება. სასურველია არანაკლებ 1 წლის მუშაობის გამოცდილება. ლაბორანტს უნდა შეეძლოს მასწავლებელთა პერსონალისათვის ნორმალური სამუშაო პირობების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილის მოწესრიგების გზით; სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ტექნიკური საშუალებებით (ლაბორატორიული სამუშაოების მომზადება და სხვა); დეპარტამენტის სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა; დოქტორანტთა სამეცნიერო კვლევებში ტექნიკური დახმარების გაწევა; ლაბორატორიისათვის აუცილებელი ინვენტარის, მოწყობილობების, რეაქტივების შემენისათვის განაცხადების მომზადება; ლაბორატორიის ხელმძღვანელის, დეპარტამენტის უფროსის მითითებით ცალკეული სამსახურებრივი დავალებების ორგანიზება. თვალყური მიადევნოს მოწყობილობა-დანადგარების გამართულობას, მათ შესაბამისობას უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებთან; ლაბორატორიული მოწყობილობების შეკეთება; ლაბორატორიული მოწყობილობების (ხელსაწყოები, აპარატურა) მომზადება ექსპერიმენტების ჩასატარებლად, მისი შემოწმება და მარტივი რეგულირება შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად; ექსპერიმენტის ჩატარებაში მონაწილეობა, აუცილებელი მოსამზადებელი და დამხმარე ოპერაციების განხორციელება, დაკვირვების წარმოება, ხელსაწყოთა ჩვენებების აღება, სამუშაო ჟურნალის წარმოება; მასწავლებელთა პერსონალის მოწყობილობათა მუშაობისათვის აუცილებელი მასალებით, რეაქტივებით და სხვა უზრუნველყოფა; კვლევების, გაზომვების, ანალიზების შედეგების დამუშავება, მათი სისტემატიზირება და გაფორმება არსებული მეთოდური დოკუმენტაციის შესაბამისად; შესრულება სხვადასხვა გამოთვლითი და გრაფიკული სამუშაოების, რომლებიც დაკავშირებულია ჩატარებულ კვლევებთან და ექსპერიმენტებთან; სხვადასხვა სახის ანალიზების (სპეციფიკის გათვალისწინებით) მყარი, თხევადი და აირადი სასარგებლო წიაღისეულის კვლევისას ჩატარება

შახტი–ლაბორატორიის მთავარი მექანიკოსი

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება. მთავარ მექანიკოსს უნდა შეეძლოს ლაბორატორიაში არსებული მანქანა-მექანიზმების მუშა მდგომარეობაში მოყვანა, მათი რემონტი, საჭირო შემთხვევაში პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება. ლაბორატორიაში არსებულ მანქანა-მექანიზმებთან უსაფრთხო მუშაობის უზრუნველყოფა.

შახტი-ლაბორატორიის მექანიკოსი

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და შეუძლია ლაბორატორიაში არსებული მანქანა-მექანიზმების მუშა მდგომარეობაში მოყვანა, მათი რემონტი. ლაბორატორიაში არსებულ მანქანა-მექანიზმებთან უსაფრთხოდ მუშაობა.

შახტი-ლაბორატორიის ელექტრიკოსი

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და შეუძლია სასწავლო შახტი-ლაბორატორიაში არსებული ელექტრო დანადგარების მუშა მდგომარეობაში მოყვანა, მათი პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის მომზადება და სასწავლო კურსების წამყვანი პედაგოგის ასისტენტობა.

შახტი-ლაბორატორიის დისპეტჩერი

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და შეუძლია სასწავლო შახტი-ლაბორატორიაში ჯგუფების მეცადინეობების აღრიცხვა და მათი ლაბორატორიაში ჩაყვანა-ამოყვანის უზრუნველყოფა.